„პალიტრა ნიუსის“ თვითრეგულირების ორგანოს

28 თებერვალს, **20** საათზე, მაუწყებლის **„**პალიტრა ნიუსის**“** ეთერში გავიდა გადაცემა „ფალავანდიშვილთან - საგანი მე და საზოგადოება“. გადაცემა იყო დისკრიმინაციული ხასიათის და მიგვაჩნია, რომ მისი ეთერში გაშვებით ტელეკომპანიამ დარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი.

პირველ რიგში გვსურს აღვნიშნოთ, რომ გადაცემის წამყვანი გურამ ფალავანდიშვილი ცნობილია თავისი დისკრიმინაციული ქმედებებითა და გამოსვლებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ. იგი 2013 წელს დაკავებული იყო თავისუფლების მოედანზე ხანუქას დღესასწაულის აღნიშვნელი პლაკატების ჩამოხევისთვის და დღესასწაულის გამართვისთვის ხელის შეშლისთვის[1]. ამას გარდა, გურამ ფალავანდიშვილი გამოირჩეოდა ანტისემიტური, ჰომოფობიური, დისკრიმინაციული გამოხატვით[2]. მაგალითად გურამ ფალავანდიშვილი ხანუქას დღესასწაულთან დაკავშირებით აცხადებდა: „როცა ხანუქას გამოაბრძანებენ ქუჩაში, ამით პროცესის თანამონაწილეს გვხდიან მართლმადიდებელ მრევლს. ამ დესასწაულის თავზე მოხვევა არის დაპირისპირების წინაპირობა. თავის სახლში ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, მაგრამ როცა შენ ეს ქუჩაში გამოგაქვს და გინდა, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანს აზეიმო ქრისტეს უარყოფა, ეს მიუღებელია.... ვიმეორებ, თუ არ გაითვალისწინებენ თხოვნას, ამას მოჰყვება დაპირისპირება“ (ალია, 23 ოქტომბერი, 2014). არაერთხელ გაჟღერებულა დისკრიმინაციული გამონათქვამები ლგბტ ჯგუფების მიმართ, მაგალითად: „ჩვენ შევძლებთ, შევერთდებით საკრებულოში, ბატონი დიმას დახმარებით, რომ პროპაგანდა მამათმავლობის საქართველოში ავკრძალოთ, გეი პარადები, გარყვნილი ფოტოები, სურათები და ასე შემდეგ“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პირველი სტუდია, 16 მაისი; 2014)[3] და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ საავტორო გადაცემის წამყვანად ასეთი შეხედულებების ადამიანის მიწვევა დიდწილად განსაზღვრავს „პალიტრა ნიუსის“ სარედაქციო პოლიტიკას, რისი გამოხატულებაც 28 თებერვალს არხის ეთერში გასული გადაცემა იყო, რომლითაც ტელეკომპანიამ საქართველოს მაუწყებელთა კოდექსის რამდენიმე მუხლი დარღვია.

კერძოდ: გადაცემაში წამყვანმა გამოიყენა საკუთარი მდგომარეობას ლგბტ პირთა დისკრიმინაციისთვის, ასევე დისკრიმინაციული ლექსიკა ლგბტ ჯგუფების მიმართ. მაგალითად წამყვანმა გადაცემის გახსნისთანავე აღნიშნა, რომ: **„21** თებერვალს დაიგეგმა იდენტობის მიერ უნივერსიტეტში კონფერენცია**,** რომელიც ეძღვნებოდა ლგბტ მიმღებლობას ახალგაზრდებში**,** პროპაგანდას და მოიწვიეს გურიიდან**,** აჭარიდან თავიანთი აქტივისტები**,** დაკავებული ხალხი ამ გარყვნილებით **-** ჰომოსექსუალიზმით და აპირებდნენ ჩატარებას ლექციის**...“** გადაცემის ავტორმა დასაწყისშივე გამოხატა დისკრიმინაციული დამოკიდებულება იმ ჯგუფების მიმართ, რომელთა შესახებაც იყო მომზადებული საავტორო გადაცემა.

ტელეკომპანიამ დარღვია მაუწყებელთა კოდექსის 31 მუხლი, რომლის თანახმადაც:

31. “მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გაალვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.”

---

1 ტაბულა ტვ. https://www.youtube.com/watch?v=FKwoml3HqbA

2 სიძულვილის ენა და ქსენოფობია.2014 -2015 წლების ანგარიში. მდფ. გვ 83
http://www.mdfgeorgia.ge/uploads/library/19/file/Hate%20Speech-2015-GEO-web.pdf

3 ჰომოფობია და გენდერული იდენტობა. 2014 -2015 წლების ანგარიში. მდფ. გვ 28.
http://mdfgeorgia.ge/uploads/library/17/file/Homophobia-GEO-web%20(1).pdf

დისკრიმინაციული ლექსიკის გამოყენებით მაუწყებელმა დარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

33.3. ‘‘მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება”.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ავალდებულებს წამყვანს, რეაგირება მოახდინოს რესპონდენტის მხრიდან გამოთქმულ დისკრიმინაციულ გამოხატვაზე. კერძოდ, 33 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

33.4. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

შესაბამისად, დარღვა 33.4 მუხლი, რომლის დაცვის მოლოდინი გადაცემის წამყვანის მხრიდან, რომელმაც წინასწარვე შექმნა გადაცემაში ჰომოფობიური განწყობა, არ უნდა ყოფილიყო. თუმცა მაუწყებელთა კოდექსის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ტელევიზიაზე, რომელმაც ვერ უზრუნველყო აღნიშნული ნორმის დაცვა.

,,პალიტრა ნიუსის” გადაცემამ ,,ფალავანდიშვილთან’’ დეზინფორმაციის გავრცელებით, სტერეოტიპებისა და ნეგატიური წინასწარგანწყობების დამკვიდრებით, ადამიანის ღირსებისა და პატივის შემლახველი განცხადებებით წაახალისა ლგბტ ადამიანების მიმართ ნეგატიური და აგრესიული დამოკიდებულება. რითაც უხეშად დარღვია ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები, ასევე “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონისა და “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” მოთხოვნები.

კიდევ უფრო საზიანოა ჰომოფობიური გამონათქვამები იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საკუთარი პიროვნების ერთ-ერთი იდენტობის (სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ეთნიკური წარმომავლობა მაგ.) მიმართ მიმღებლობა არ გააჩნიათ და ამის გამო თავს საზოგადოებისგან გარიყულ და დაბალი ღირებულების მქონე ადამიანებად მოიაზრებენ. მათი სოციალური ინტეგრაცია მნიშვნელოვანია მთლიანად საზოგადოებისათვის, ხოლო მტრული განწყობა ყველასათვის საზიანო.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად დაუშვებელია ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას განამტკიცებს. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა დაუშვებელია გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ჩარევა კანონის საფუძველზე ხდება, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საზოგადოებაში საყოველთაოდ დამტკიცებულ ეთიკურ ნორმებს, inter alia, იცავს "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად: იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობების, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეუცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შეულის ილუსტრირებას. მოცემული გადაცემის საშუალებით მოხდა ცრუ ინფორმაციის გავრცელება ა(ა)იპ „იდენტობის'' საქმიანობის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ორგანიზაციის მიმართ აგრესიის გაღვივებას.

გადაცემის წამყვანმა გამოიყენა დამამცირებელი ტერმინოლოგია ლგბტ თემის წევრების მისამართით და „იდენტობის'' მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის ჩაშლა აგრესიული პირების მხრიდან სასიხარულო მოვლენად შეაფასა. ასევე, აღსანიშნავია, რომ გადაცემაში მოწვეული იყვნენ არაკომპეტენტური პირები, რომლებმაც ისაუბრეს ლგბტ ადამიანების შესახებ სტერეოტიპულ და საზიანო კონტექსტში, რაც კიდევ უფრო მეტად აფერხებს ამ ჯგუფის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს და უფრო დიდი აგრესიის მსხვერპლებად აქცევს მათ.

გადაცემაში არა მხოლოდ წამყვანი, არამედ რესპონდენტებიც გამოხატავდნენ დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს, ცრუ, გადაუმოწმებელი და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ტირაჟირებით, ლგბტ თემის დამნაშავეებად, საფრთხედ წარმოჩენის გზით. რესპონდენტები იყენებდნენ როგორც შეურაცხმყოფელ ლექსიკას, ასევე ახდენდნენ არასწორი ფაქტების ტირაჟირებას, რითაც მცდარი სტერეოტიპების დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს. კერძოდ, ხდებოდა ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალურ დანაშაულთან პედოფილიასთან და ინცესტთან გაიგივება. კერძოდ:

ლევან ვასაძე: "პედოფილიური მიდრეკილებები აქვთ მამათმავლებს ვიცით ხომ? პიდარასტი რას ნიშნავს? ,,პედოს'' არის ბავშვი გაბერწნელად მოყვარულს, სამედიცინო ტერმინია ეგეც, ეხლა უბრალოდ ისე გაფუჭდა რომ მოძველდა ,,გეი'' არის საღმრთო სიხარული".

მარინა კაჭარავა, ფსიქოლოგი: „რაც შეეხება ამ ჰომოსექსუალურ ან ნებისმიერ სხვა მსგავს პერვერსიებს, ეს მართალია, რომ ის მართლაც ამოღებულია დაავადებების სიიდან. ითვლება ნორმად. ნორმა არის შეთანხმების საკითხი. შესაძლებელია რომ ადამიანები შეთანხმდნენ და არ თანხმდებიან, ძალიან ბევრი ფსიქიატრი ამას აპროტესტებს... ამ რიგში დგას ინცესტი და პედოფილია. ნამდვილად დგას. მე პირადად მაქვს წაკითხული მსგავსი არგუმენტები, რომ საკუთარ შვილთან უფრო კარგია, მშობლისგან ისწავლოს პირველი სექსუალური გამოცდილება ქონდეს, ვიდრე სხვისგან, იმიტომ რომ მშობელი უფრო დაინდობს, ვიდრე სხვა... არაფერს ვლაპარაკობ პედოფილიაზე, ძალიან დაიწია ასაკი ბავშვისთვის, 10-11 წელი მას აქვს უფლება, რომ ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობა..."

გადაცემის ავტორს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში არ დაუსვამს კითხვა გამოთქმული მოსაზრებების დასასაბუთებლად. არ დაინტერესებულა რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტებითა და გადამოწმებით. ჰომოსექსუალური ურთიერთობების ინცესტთან და პედოფილიასთან დაკავშირებას სრულიად უსაფუძვლოდ ცალკეული პირები მიზანმიმართულად ახდენენ, რასაც არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ აქვს და ამ თემაზე არაერთი კვლევა მომზადებულა[4].

გარდა ამისა, გადაცემა „ფალავანდიშვილთან - მე და საზოგადოება" წამყვანმა გურამ ფალავანდიშვილმა თავადაც არაერთხელ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი. წამყვანმა გადაცემა ააგო მოსაზრებაზე, რომ: **„**არსებობს წიგნები **„**კომპასი**"** და **„**კომპასიტო**"**, რომელიც ევროპის ქარტიის დავალებით ითარგმნა და გახდა სავალდებულო ჩვენს სკოლებში**.** ისინი მართალია ამას უარყოფენ**,** მაგრამ ეს არის ფაქტი**.** იმიტომ რომ დევს**,** გვაქვს ჩვენ დოკუმენტაცია**...** ამას გარდა მათ დაიწყეს საპილოტე გაკვრა ტრანსგენდერის აფიშების**...** ფაქტიურად კომპასიტო არის მიღებული ამ განათლების სისტემაში**,** რაც არ უნდა გაემიჯნოს მას განათლების სამინისტრო**."** განათლების სამინისტრომ არაერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული წიგნების საქართველოს სკოლებში სწავლება, მით უმეტეს სავალდებულო ფორმატით, არ იგეგმება. წამყვანმა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ეს ინფორმაცია, მიზანმიმართულად სცადა საზოგადოებისთვის ცრუ და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება, გადაცემის მანძილზე განიხილავდა ამ წიგნების სწავლებას სკოლებში, როგორც გარდაუვალ შესაძლებლობას, რათა გაემაფრებინა დისკრიმინაციული ეფექტი, რომელიც ლგბტ პირთა მიმართ გადაცემის დაწყებისთანავე გამოიკვეთა.

შესაბამისად, მიგვაჩნია რომ დაირღვა მაუწყებლის ქცევის კოდექსის მუხლი 13-ის პუნქტი 1 და პუნქტი 2-ის თანახმად:

1. „მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უჭრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე.
2. მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ამ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.

დისკრიმინაციული და გადაუმოწმებელი, შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ტირაჟირებით მაუწყებელმა დაარღვია კოდექსის 33 მუხლის 2 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

2. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას...

დაირღვა ასევე მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 32 მუხლი:

1.მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

2.მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს აზრის, სინდისის, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა.

---

4 პედოფილიის თემაზე იხ. მითების დეტექტორი http://eurocommunicator.ge/geo/view_myth/37
ინცესტის თემაზე იხ. მითების დეტექტორი http://eurocommunicator.ge/geo/view_myth/1

3.მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევაზე მოწმობს ისიც, რომ გადაცემაში მოწვეული სტუმრები გამოირჩეოდნენ ჰომოფობიური განცხადებებით, ყველა მათგანი წარმოადგენდა ერთ პოზიციას, საგანი „მე და საზოგადოება“ წარმოჩენილი იყო, როგორც „უჭნეობის პროპაგანდა“. გადაცემაში არ ყოფილა მცდელობა, წარმოჩენილი ყოფილიყო განსხვავებული აზრი, მაგალითად განათლების სამინისტროს, ადამიანის უფლებათა დამცველების და დისკრიმინაციის სამიზნე ჯგუფის _ ლგბტ პირთა მოსაზრებები და არგუმენტები.

გარდა ამისა, მაუწყებელმა დარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 17, (პუნქტები 1 და 2) რომელიც საავტორო პროგრამის ავტორებს უყენებს შემდეგ მოთხოვნებს:

1.საავტორო პროგრამებში აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, თავიდან უნდა იქნას აცილებული ფაქტების დამახინჯება და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება.

2.საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარეობა საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა.

შესაბამისად, მოგმართავთ, რათა „პალიტრა ნიუსის“ თვითრეგულირების ორგანომ მაუწყებლობის კანონის საფუძველზე იმსჯელოს აღნიშნული სიუჟეტის მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე -13 (1,2), მე-17, 31, 32 (1,2 და) 33 (3,4) მუხლების დარღვევის ფაქტზე.

თამარ ხორბალაძე

„მედიის განვითარების ფონდი“ (MDF)

საკონტაქტო ინფორმაცია: ქობულეთის ქუჩა 34/36, სადარბაზო 1, სართული 4, ბინა 5 0179, თბილისი, საქართველო. ელ. ფოსტა: mdfgeo@gmail.com ტელ: 0790/99 66 07

ბაია პატარაია

კავშირი „საფარი“

საკონტაქტო ინფორმაცია: ქანთარიას 11/ა, 0161, თბილისი, საქართველო; ელ.ფოსტა: unionsapari@gmail.com; ტელ: 995 32 2 307 603

მარია დარჩიევი

„იდენტობა“

საკონტაქტო ინფორმაცია: 112 მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, 3 სართ. 0164, თბილისი, საქართველო. ელ. ფოსტა: info@identoba.com

ნათია იმნაძე

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI)

საკონტაქტო ინფორმაცია: რ.ერისთავის #3, მე-3 სართული, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: info@gdi.ge tel: (995 32) 2 72 80 08

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

საკონტაქტო ინფორმაცია: ი. ჭავჭავაძის გამზირი 11; მე-4 სადარბაზო, II სართული, ბინა N 38. 0179, თბილისი, საქართველო ელ.ფოსტა: tdigeorgia@gmail.com ტელ: 995 32 222 35 76